საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით)

www.sab.ge

საბანკო სექტორის მიმოხილვა (2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით)

2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 0.2 მლრდ ლარით, ანუ 0.8%-ით შემცირდა და 23.3 მლრდ ლარი შეადგინა. მიუხედავად აქტივების შემცირებისა საბანკო სექტორმა მაისი 70,8 მლნ ლარის მოგებით დაასრულა. რაც შეეხება საკონვერსიო შემოსავლებს (სავალუტო კონვერტაციები), 2015 წლის იანვარი-მაისში კომერციულმა ბანკებმა საკონვერსიო ოპერაციებში 26 მლნ ლარის მოგება ნახეს. ლარის კურსთან დაკავშირებულმა მოლოდინებმა და ფაქტობრივმა რყევებმა საკმაოდ არასტაბილური გარემო შექმნეს საკონვერსიო ოპერაციებისთვის და შესაბამისად ბანკებმა მარტის თვე 3 მლნ ლარიანი ზარალით დახურეს. თუმცა აპრილი-მაისის თვეში შედარებით სტაბილურმა კურსმა ბანკებს შესაძლებლობა მისცა ზარალი აენაზღაურებინათ. თუ მაისის მონაცემს შევადარებთ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს ვნახავთ, რომ ამ კუთხით 46% იანი კლება აღინიშნება.

მიუხედავად სავალუტო რყევებისა კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი მაინც იზრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ მაღალია ფულზე მოთხოვნა. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი 2015 წლის 1 მაისის მდგომარეობით 14,9 მლრდ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 37%-ით მეტია. მართალია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა აღინიშნება, მაგრამ აპრილთან შედარებით მაისში პორტფელი სულ 12,4 მლნ-ით არის გაზრდილი, მაშინ როდესაც 2015 წლის აპრილში მარტთან შედარებით 262 მლნ-იანი ზრდა იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პორტფელის ზრდა განპირობებულია ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდის ხარჯზე, რადგან ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 18.5 მლნ ლარით (0.4 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 6.1 მლნ ლარით (0.1 პროცენტით) შემცირდა.

სასესხო პორტფელის ზრდასთან ერთად გაზრდილია ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა. 2015 წელს თვეების მიხედვით თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის მხრივ იანვარში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და შეადგინა 17%, რაც შეეხება მომდევნო თვეების მაჩვენებლებს, თებერვალში 4%, მარტში და აპრილში 7%, მაისში კი ვადაგადაცილებული სესხების მოცულობაში მხოლოდ 3%-იანი ზრდა აღინიშნება. ჯამურად 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 27%-ით არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მიმდინარე წელში ზრდა განპირობებულია უცხოურ ვალუტაში სესხებზე გაზრდილი ვადაგადაცილებებით, რადგან ჯამურად ვადაგადაცილებული სესხების მოცულობაში, უცხოურ ვალუტაში ვადაგადაცილებულ სესხებს 89% უკავია, გამოდის, რომ გრძელვადიან პერიოდში ლარის გაუფასურება საგრძნობლად აისახა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პორტფელის ხარისხზე. ეს კი დამატებით

პრობლემებს უქმნის ბანკებს. ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მთლიან პორტფელთან მიმართებაში კვლავ მხოლოდ 2%-ია.

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2015 წლის პირველი ივნისისათვის 12.8 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 174.9 მლნ ლარით ანუ 1.35% ნაკლებია პირველი მაისისთვის არსებულ მაჩვენებელზე. მაისში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა როგორც ვადიანი, ისე მოთხოვნამდე დეპოზიტების შემცირებას, შესაბამისად 83.4 მლნ (ანუ 1.1 პროცენტით) და 91.5 მლნ ლარით (1.8 პროცენტით). ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.3 პროცენტი შეადგენა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 7.2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 4.9 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 81.7 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 15.5 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება, რაც გამოიხატება იმაში, რომ დეპოზიტებში დოლარიზაციის მაჩვენებელი ბოლო ორი თვეა 66%-ის ნიშნულზეა. დაახლოებით იგივე მაჩვენებელია სესხების კუთხით, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა ჯამურ პორტფელში 65%-ს შეადგენს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა და ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ გარკვეული პრობლემები საბანკო სექტორსაც შეუქმნა: შემცირებულია ბანკების მთლიანი აქტივები, შემცირებულია დეპოზიტების რაოდენობა, შემცირებულია სასესხო პორტფელის ზრდის დინამიკა, გაზრდილია ვადაგადაცილებული სესხების ოდენობა და გაზრდილია დოლარიზაციის მაჩვენებელი. ბევრი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც განსაზღვრავს საბანკო სექტორის სტაბილურობას 1 ივნისის მდგომარეობით გაუარესებულია. თუ წინა წლებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ როგორც დეპოზიტების ასევე წმინდა აქტივების მოცულობა წლიდან წლამდე მზარდი ტრენდით ხასიათდებოდა, საყურადღებოა ასევე საკრედიტო პორტფელი, რომელიც მართალია გაიზარდა, მაგრამ ძალიან მცირე მაჩვენებლით. ამას გარდა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ვადაგადაცილებების მოცულობა, 27%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი ინდიკატორების ზრდის ტემპი შენელებულია და ზოგ შემთხვევაში საერთოდ კლება შეინიშნება, რაც საბანკო სისტემის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. სიტუაციის გაუარესება მრავალ ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანი სავალუტო კრიზისია. თუ წინა თვეებში მიუხედავად სავალუტო კრიზისისა ეს ინდიკატორები იზრდებოდა, საშუალო ვადიან პერიოდში ლარის გაუფასურებამ მაინც მოახდინა ზეგავლენა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და სტაბილური ინდუსტრიაა, რომელმაც საკმაოდ ძლიერ კრიზისებს გაუძლო და

შესაბამისად მიმდინარე ეტაპზე დაფიქსირებული პრობლემები საბანკო სექტორის სტაბილურობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ მოახდენს.

www.sab.ge